



სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“  
არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში მედიატორთა სპეციალიზაციის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**შესავალი**

საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის სექტემბერში მიიღო „ბავშვის უფლებათა კოდექსი“. აღნიშნული საკანონმდებლო აქტი და ასევე, საერთაშორისო ხელშეკრულებები, მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვთა მიმართ განსაკუთრებულ მოპყრობას მოითხოვს. სამართალწარმოების განხორციელებისას, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვა ყველა მონაწილე უწყების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. „ბავშვის უფლებათა კოდექსი“-ს 73-ე მუხლი მოითხოვს, რომ ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ განხილვის პროცესში ჩართულ იყვნენ სპეციალიზებული პირები.

ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2020 წლის 3 აგვისტოს სხდომაზე დამტკიცდა წინამდებარე დებულება, რომელიც არეგულირებს მედიატორთა სპეციალიზაციის წესსა და პროცედურებს.

**მუხლი 1**

1.1. არასრულწლოვანთა მონაწილეობით მიმდინარე სამედიაციო პროცესში ჩართულ მედიატორთა სპეციალიზაციის პროცესის მართვასა და მონიტორინგს ახორციელებს სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭო.

**მუხლი 2**

2.1. სპეციალიზებული კურსის ჩატარების მიზნით, სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“ აცხადებს მსურველ მედიატორთა რეგისტრაციას.

**მუხლი 3.**

3.1. მედიატორს არასრულწლოვანთა უფლებების სფეროში სპეციალიზაცია მიენიჭება სპეციალიზებული კურსის სრულად გავლის საფუძველზე.

**მუხლი 4.**

- 4.1. კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 14 (თოთხმეტი) საათს.
- 4.2. კურსი ტარდება ასოციაციის მიერ გამოყოფილ სივრცეში. ასევე, კურსი შესაძლოა ჩატარდეს დისტანციური (ონლაინ ტრენინგის) ფორმით.
- 4.3. კურსის შინაარსი განისაზღვროს დანართი 1-ის შესაბამისად (სპეციალიზებული კურსის მოდული-დღის წესრიგი)

## მუხლი 5.

5.1. არასრულწლოვანთა უფლებათა სფეროში სასწავლო მოდულის/დღის წესრიგი შედგება შემდეგი საკითხებისგან:

- ბავშვის უფლებათა კოდექსი;
- ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები;
- ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მხარდაჭერის სისტემა;
- ძალადობა ბავშვზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე;
- დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა (პროტოკოლი);
- ფსიქოლოგის როლი სამოქალაქო საქმეებში ბავშვის მონაწილეობით;
- ბავშვთა უფლებების კოდექსით გათვალისწინებულ პუნქტებში ფსიქოლოგის საქმიანობის ძირითადი სფეროები;
- ნებისმიერი ასაკისა და განვითარების ბავშვთან ურთიერთობის თავისებურებები;
- ბავშვის განვითარების თავისებურებანი, მიჯაჭვულობის როლი, ფსიქო-სოციალური და მორალური განვითარება;
- სამოქალაქო საქმეები ფსიქოლოგიურ ჭრილში;
- მშობელი ბავშვის/ბავშვების ფსიქოლოგიური სირთულეები. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/მოწმე ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებები;
- სოციალური მუშაკის როლი სამოქალაქო სამართალის მართლმსაჯულებაში ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვით.
- სოციალური მუშაკის როლი ოჯახური დავებისა და აღსრულების საქმეებზე.
- ბავშვის საჭიროებები და მშობელთან/ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორები.
- სოციალური მუშაკების სამუშაო ინსტრუმენტები და შეფასების პრინციპები.
- ოჯახის გაძლიერებისკენ მიმართული მომსახურებები.

## მუხლი 6.

6.1. სპეციალიზებული კურსის სრულად გავლის საფუძველზე, მედიატორს მიენიჭება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზებული მედიატორის სტატუსი.

6.2. მედიატორის სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში დასტურება მედიატორის საქმიანობის დამადასტურებელ მოწმობასა და წევრთა ერთიან სიაში შემდეგი ჩანაწერით - „არასრულწლოვანთა უფლებები“.

## მუხლი 7.

7.1. არასრულწლოვნების უფლებათა სპეციალიზებული კურსის ექსპერტები/ტრენერები არიან სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პირები, რომელთაც გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენერთა ტრენინგის კურსი.

7.2. წინამდებარე დებულების 7.1. პუნქტით გათვალისწინებულ პირებს (ექსპერტები/ტრენერები), ისეთ შემთხვევაში თუ ამავდროულად არიან მედიატორთა ასოციაციის წევრები, ენიჭებათ ბავშვთა უფლებების სფეროში მედიატორის სპეციალიზაცია.

7.3. მედიატორები, რომლებიც ამავდროულად არიან მოქმედი ადვოკატები და ჩაბარებული აქვთ სპეციალიზაციის ტესტირება, როგორც ადვოკატებს, თავისუფლდებიან წინარე დებულებით გათვალისწინებული კურსის გავლისგან.

**მუხლი 8.**

**8.1.** არასრულწლოვნების უფლებების დაცვის სფეროში სპეციალიზებულ კურსში მონაწილეობა ს.ს.ი.პ. „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წევრებისთვის უფასოა.

დამტკიცებულია სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2020 წლის 3 აგვისტოს.

